ვაკანსიის № 90511

პოზიციის დასახელება	მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის მთავარი სპეციალისტი
კონკურსის ტიპი	ღია კონკურსი
ორგანიზაცია	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
კატეგორია	მევენახეობა - მეღვინეობა
განცხადების ბოლო ვადა	06.12.2024
თანამდებობრივი სარგო	2128 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	3 თვე

ფუნქციები

- აკრედიტებული ლაბორატორიებიდან სადეგუსტაციო ნიმუშების შესახებ ინფორმაციის მოპოვება;
- აკრედიტებული ლაბორატორიებიდან წარმოდგენილი სადეგუსტაციო ნიმუშებისა და შემოსული დოკუმენტაციის შემოწმება;
- სადეგუსტაციო ნიმუშების ჩაბარება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
- სადეგუსტაციოდ ღვინის ნიმუშები მომზადება ტემპერატურული რეჟიმისა და თანამიმდევრობის დაცვით;
- დეგუსტაციაზე ნიმუშების შემოტანა და დასხმა;
- დეგუსტაციის შემდგომ ყველა დოკუმენტაციის შემოწმება, მათი ქსეროასლის გაკეთება და შენახვა-დახარისხება;
- საკუთარი ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად მოხსენებით ბარათების მომზადება;
- სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარესათვის საქმიანობის პერიოდული ანგარიშების წარდგენა;
- სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის მიერ დაკისრებულ სხვა დავალებებს/მითითებების შესრულება.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	ბაკალავრი
სამუშაო გამოცდილება	1 წელი

საკონკურსო თემატიკა

საქართველოს კონსტიტუცია (I-II თავი);
„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონი;
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის □2-67 ბრძანება;
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვარის □45 დადგენილება;
ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის □2-82 ბრძანება;

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	ძალიან კარგი
Microsoft Office Excel	ძალიან კარგი
Microsoft Office Outlook	ძალიან კარგი

ენები

ენა	წერითი უნარები	მეტყველება
ინგლისური	B1	B1

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	მარშალ გელოვანის გამზ. 32, 0159 თბილისი
საკონტაქტო ტელეფონები	032 297 41 03

დამატებითი მოთხოვნები

სასურველია:

მუშაობის გამოცდილება მეღვინეობის სფეროში.

პიროვნული თვისებები და უნარ-ჩვევები:

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- არგუმენტირებული მსჯელობის/საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი;
- ანალიტიკური აზროვნება;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი (ზეპირსიტყვიერი და წერითი);
- შედეგებზე ორიენტირებულობა;
- ლოგიკური აზროვნების უნარი;
- დეტალებზე ორიენტაციიის უნარი;
- დროის ეფექტურად მართვის უნარი;
- პრეზენტაბელურობა, კომუნიკაბელურობა.

დამატებითი ინფორმაცია

აუცილებელია კანდიდატმა:
- განათლება კვალიფიკაციის გრაფაში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- შესაბამის გრაფაში მიუთითოს მინიმუმ 1 რეკომენდატორი (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია) და წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი.
- კონკურსანტი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარუდგენლობის ან/და ინფორმაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან. კონკურსის შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით.
- სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობისა და სტრუქტურის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდს: www.georgianwine.gov.ge
- მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე მოსულმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

- კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ქულათა სისტემით, გადაწყვეტილებას მიიღებს სსიპ - ღვინის ეროვნულ სააგენტოში შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრთა შემადგენლობა, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება